ასევე შესაძლებელია სასამართლოსათვის მიმართვა სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების ანდა მათი ოდენობის შემცირების მოთხოვნით, რა დროსაც წარდგენილ უნდა იქნეს უტყუარი მტკიცებულებები ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება სასამართლოს შეხედულებებზეა დამოკიდებული.

თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე ან მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან სასამართლოს მთავარ სხდომაზე, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ხოლო თუ აღნიშნული განხორციელდება სასამართლოს მთავარ სხდომამდე, მხარეები საერთოდ თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

თუ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად.

## სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

სასამართლო ხარჯების გადახდა ევალება იმ მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში ხარჯები ნაწილდება მხარეთა შორის დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად.

სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებულია მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად.

თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ყველა ხარჯის ანაზღაურებას.

სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო მოპასუხე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს, რომელიც არ არის განთავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად.

თუ ორივე მხარე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

### სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების წესი

სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას.

სარჩელის გამოხმობის შესახებ მოსარჩელის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

მთავარი სხდომის დანიშვნამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება.

თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს მთლიანად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

სახელმწიფო ბაჟის დასაბრუნებლად პირი განცხადებით მიმართავს სახაზინო სამსახურს, სადაც წარდგენილ უნდა იქნეს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები. თანხა ჩაირიცხება პირის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება მისი დაბრუნების შესახებ.

Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH
Herausgeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH
გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების GTZ ფინანსური მხარდაჭერით

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
E-mail council@hcoj.gov.ge
www.hcoj.gov.ge
2008©

# პროცესის ხარჯები



სასამართლო პროცესის ჩატარება გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. აღნიშნული ხარჯები მოიცავს სახელმწიფო ბაჟს, საქმის განხილვასთან დაკავშირებულ, ადვოკატის მომსახურების, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ, მოწმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ, ექსპერტიზის და სხვა ხარჯებს. მათი გადახდა საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე ევალება ერთ-ერთ ან ორივე მხარეს. გასათვალისწინებელია, რომ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გაწეული ხარჯები მხარეს არ დაუბრუნდება.

## სახელმწიფო ბაჟი და მისი გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟს იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის.

ბაჟის გადახდა ხდება ეროვნული ვალუტით ბანკში. ბაჟის გადახდის ქვითარი მხარეს სასამართლოში შეაქვს სასარჩელო განცხადებასთან ერთად. ბაჟის გადაუხდელობა წარმოადგენს ხარვეზს და აბრკოლებს საქმის განხილვას.

## სახელმწიფო ბაჟის ოდენობა

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ცალკეულ შემთხვევებში შეადგენს:

- სარჩელზე, შეგებებულ სარჩელზე, მესამე პირის სარჩელზე, რომელიც დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს, განცხადებაზე გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ და განცხადებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე, სარჩელზე სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების შესახებ – დავის საგნის 3 პროცენტს, მაგრამ არა ნაკლებ 100 ლარისა;
- სააპელაციო საჩივარზე, მათ შორის, საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (განჩინებაზე) – დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა;
- საკასაციო საჩივარზე, მათ შორის, საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (განჩინებაზე) – დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა;

? კერძო საჩივარზე 50 ლარს;

- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე, აგრეთვე საჩივარზე – ფიზიკური პირისათვის – 50 ლარს, იურიდიული პირისათვის – 150 ლარს;

www.hcoj.gov.ge

- ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე – ფიზიკური პირისათვის – 100 ლარს, იურიდიული პირისათვის – 300 ლარს;
- გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადებაზე – 50 ლარს;
- არაქონებრივ დავაზე, ასევე თამასუქის ან ჩეკის თაობაზე სარჩელზე – 100 ლარს, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე შესაბამისად 150 ლარს და 300 ლარს;
- დაკარგული საქმის წარმოების აღდგენასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავაზე, როდესაც საქმის მასალები მხარის ბრალით დაიკარგა – 100 ლარს;
- უდავო წარმოების საქმეზე – 50 ლარს, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე შესაბამისად 100 ლარს და 300 ლარს;
- აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადებაზე 500 ლარს;
- საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის თაობაზე საქმეზე – 100 ლარს;

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ფიზიკური პირისათვის არ უნდა აღემატებოდეს:
პირველი ინსტანციის სასამართლოში – 3000 ლარს, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში 5 000 ლარს, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში 6 000 ლარს.
სახელმწიფო ბაჟის ოდენობა იურიდიული პირისათვის არ უნდა აღემატებოდეს:
პირველი ინსტანციის სასამართლოში 5000 ლარს, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში 7 000 ლარს, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში 8 000 ლარს

მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმ?ეებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს კანონით დადგენილი ოდენობის ნახევარს.

დავის საგნის ფასს უთითებს მოსარჩელე. ფასი უნდა იყოს რეალური და შეესაბამებოდეს საბაზრო ფასს, წინააღმდეგ შემთხვევაში დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე. თუ მოსარჩელე ვერ ახერხებს დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრას, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება.

## სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება და სხვა შეღავათები

საერთო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

- ფიზიკური პირები სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან;
- მოსარჩელენი სარჩელებზე, რომლებიც გამომდინარეობს საავტორო, აგრეთვე აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებებიდან;
- მოსარჩელენი სარჩელებზე ალიმენტების გადახდევინების შესახებ;
- ფიზიკური და იურიდიული პირებიმათზე იმ დოკუმენტების გაცემისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლისა და ალიმენტის საქმეებთან;
- მოსარჩელენისარჩელებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით;
- ფიზიკური პირებისისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ საკასაციო საჩივრებზე დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ამოღების სისწორის შესახებ;
- მოსარჩელე დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე;
- მხარეებისაკასაციო საჩივრებზე განქორწინების საქმეების შეწყვეტის შესახებ;
- სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე.
- ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები?ყველა სარჩელზე;
- მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;
- მხარეები წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესებით გასაჩივრებისას.
- მოსარჩელენისარჩელებზე ისტორიული, მხატვრული და სხვა ფასეულობის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ;
- მხარეებისარჩელებზე მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია ფიზიკური პირის უკანონოდ გასამართლების, მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით უკანონოდ დაპატიმრების ან დაპატიმრების სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად;
- იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილებისაჩივრებზე მათი იძულებით გადაადგილებულ პირად და ლტოლვილად არცნობის შესახებ;
- ვეტერანები, რომლებმაც „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დასაცავად მიმართეს სასამართლოს;
- მშობელი ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩლე სარჩელზე არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის ან მისთვის მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.
- მოსარჩელე უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების

სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ აღძრულ სარჩელებზე.

- მოსარჩელე – თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე.

თუ თქვენ ქონებრივი მდგომარეობის გამო არ შეგიძლიათ სასამართლო ხარჯების გადახდა, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს შუამდგომლობით და წარუდგინოთ უტყუარი მტკიცებულებები თქვენი ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე. სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაგათავისუფლოთ ხარჯების გადახდისაგან.

E-mail council@hcoj.gov.ge